გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
ხარვეზის შევსების შედეგად, სარჩელის წარმოებაში მიღებისა
და დასაშვებად ცნობის შესახებ

საქმე №3/1216-23
17 მარტი, 2023 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნანა აფციაური

მოსარჩელე - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

მოპასუხე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2023 წლის 23 თებერვალს, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებმა სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს:
- ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.
- დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ - 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოსარჩელეზე გადაცემის მომენტამდე შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობასთან დაკავშირებით შემდეგი საჯარო ინფორმაცია:
  - სამინისტროში (მათ შორის, სამინისტროს რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში) კომპანიის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტისა და

წერილის ასლი.

- სამინისტროს უწყებების მიერ შექმნილი ან და მიღებული დოკუმენტების ასლი.
- სამინისტროს უწყებების მიერ კომპანიისა თუ სხვა უწყებებისათვის/პირებისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტისა და წერილის ასლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 თებერვლის განჩინებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 (ათი) დღე, განჩინების მოსარჩელსათვის ჩაბარების დღიდან. აღნიშნული განჩინება მოსარჩელე მხარეს (მენეჯერი - ნათია ქსოვრელი) ჩაბარდა 2023 წლის 7 მარტს.

ხარვეზის შევსების მიზნით, 2023 წლის 15 მარტს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება წარმოადენს ე.წ ,,ვირტუალურ'' ინდივიდუალურ ადმინისტრზციულ-სამართლებრივ აქტს.

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ხარვეზი შევსებულია განჩინებით დადგენილ ვადაში, სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ
დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე, დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, 26^2-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 448-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი მოპასუხე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის

გადაწყვეტილება (ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადებით მოთხოვნილი

ინფორმაცია, მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში.

2. ამ ეტაპზე, სარჩელი დასაშვებად იქნეს ცნობილი.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 და 448-ე მუხლებით დადგენილი წესით დაიწყოს საქმის მომზადება, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნოს მოპასუხე მხარეს.

4. მოპასუხე მხარეს დაევალოს, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ნანა აფციაური**